პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 230
(7541)

3 დეკემბერი,
1983 წ.
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან



7 დეკემბერს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე გაიმართება უეფა-ს თასის გათამაშების მერვედფინალის მეორე მატჩი მოსკოვის „სპარტაკსა" და როტერდამის „სპარტას" შორის. 1 დეკემბერს სპარტაკელები (გუნდში 18 ფეხბურთელია) ჩამოფრინდნენ ჩვენს ქალაქში და იმავე საღამოს პირველი ვარჯიში ჩაატარეს „ლოკომოტივის" სტადიონზე.

იმაზე, თუ როგორ ემზადებიან მოსკოველები ამ სერიოზული გამოცდისთვის, მოგითხრობთ მე-3 გვ.

ს უ რ ა თ ზ ე: სპარტაკელთა საწვრთნელი ვარჯიში თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე.

გ. სანაიას ფოტო.

იხ. მე-3 გვ.

რუბრიკის პრემიერა:

როგორც ვიუწყებოდით, ამ დღეებში გაიმართა მეცხენეობის, საცხენოსნო სპორტისა და საცხენოსნო ტურიზმის ხელშემწყობი რესპუბლიკური საზოგადოების დამფუძნებელი კრება. ახალშექმნილი საზოგადოების გამგეობის პირველ სხდომაზე პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მგელაძე**, პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ გამოცემა „მართვეს" რედაქტორი **თ. გაჩეჩილაძე**, მოადგილეებად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დირექტორი **თ. კეკელიძე**, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე **ნ. რუხაძე** და რესპუბლიკის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურის კათედრის გამგე **დ. წვერავა**. პრეზიდიუმის შემადგენლობაში შევიდნენ: საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **ო. ქინქლაძე**, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **შ. გორგოძე**, თბილისის სახელმწიფო იპოდრომის დირექტორი **ო. ლორთქიფანიძე**, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური საცხენოსნო სკოლის დირექტორი **მ. ტატიშვილი**, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ცენტრალური საცხენოსნო ბაზის უფროსი **გ. კალმახელიძე** და ექიმი **გ. ჩიგოგიძე**.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი **ე. კუხალეიშვილი**.

„ლელოს" კორესპონდენტი დაესწრო პრეზიდიუმის პირველ სხდომას და სთხოვა ახალი საზოგადოების ხელმძღვანელებს პასუხი გაეცათ რამდენიმე შეკითხვაზე.

იხ. მე-2 გვ.

GENS UNA SUMUS

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

●

იოსელიანი — სემიონოვა

მერვე პარტია

ძირითადი ბრძოლა ენდშპილში მიმდინარეობდა. სემიონოვას ორი კუს უპირატესობას იოსელიანმა აქტიური თამაში დაუპირისპირა მეფის ფრთაზე. მან ეტლსა და ორ პაიკში კუ და მხედარი გაცვალა. მესამე პაიკის მოგებაც შეეძლო მხედრის მანევრით 29-ე სვლაზე, მაგრამ გამსვლელი პაიკის სვლა ამჯობინა. სემიონოვამ დაამუხრუჭა ეს პაიკი და თავის ეტლს მოქმედების ფართო სარბიელი მისცა. პარტია გადაიდო. თამაშის განახლებისას სემიონოვამ კარგად გამოიყენა თავისი პოზიციის შესაძლებლობები და გაიმარჯვა.

გთავაზობთ ამ პარტიას:

სემიონოვა — იოსელიანი

რუსული პარტია

1. e4 e5 2. მf3 მf6 3. მ×e5 d6 4. მf3 მ×e4 5. c4 კe7 6. d4 d5 7. კd3 მc6 8. c×d5 ლ×d5 9. 0–0 კg4 10. მc3 მ×c3 11. b×c3 კ×f3 12. ლ×f3 ლf3 13. b×c3 კ×f3 12. ლ×f3 ლ×f3 13. მe7 16. c4 მg6 17. ეfb1 b6 18. a4 f5 19. a5 მh4 20. f4 g5 21. a×b6 a×b6 22. ე×a8 ე×a8 23. f×g5 f4 24. კe4 ეa5 25. კd5+ ე×d5 26. c×d5 f×e3 27. f×e3 მf3+ 28. მფf2 მd2 29. ეb2 მc4 30. ეc2 მa3 31. ეa2 b5 32. მფe2 b4 33. მფd3 მფf7 34. e4 მფg6 35. e5 კe7 36. h4 მფg7 37. ეf2 მb5 38. მფc4 მa3+ 39. მფb3 მb5 40. ეf4 მფg6 41. მფc4 (ჩაწერილი სვლა) 41. ... მa3+ 42. მფb3 მb5 43. e6 კd6 44. ეf6+ მფg7 45. h5 მa7 46. h6+ მფg8 47. ეf7 მb5 48. ეg7+ შავები დანებდნენ.

ამრიგად, ანგარიში კვლავ გათანაბრდა — 4:4.

გუშინ, 2 დეკემბერს მეტოქეებმა მეცხრე პარტია ითამაშეს. იგი მე-16 სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

ლევიტინა — ალექსანდრია —

მერვე პარტია

პარტია სწრაფად გადავიდა ენდშპილში. ალექსანდრიამ ორი კუს უპირატესობა მიიღო, მაგრამ ლაზიერის ფრთაზე მისი სუსტი პაიკი ლევიტინას კარგ შანსს აძლევდა.

შუა თამაშში, მწვავე ტაქტიკურ შეხლა-შემოხლაში, ქართველმა დიდოსტატმა რამდენიმე უზუსტობა დაუშვა და ლევიტინამ პაიკი მოიგო. ამ მდგომარეობაში პარტია გადაიდო. საბოლოოდ ლევიტინამ შეძლო უპირატესობის შენარჩუნება და გაიმარჯვა.

აი როგორ მოხდა ეს:

ლევიტინა — ალექსანდრია

ინგლისური დასაწყისი

1. მf3 მf6 2. c4 c5 3. მc3 მc6 4. d4 c×d4 5. მ×d4 e6 6. მdb5 d5 7. კf4 e5 8. c×d5 e×f4 9. d×c6 b×c6 10. ლ×d8+ მფ×d8 11. მd4 კd7 12. g3 f×g3 13. h×g3 ეb8 14. მb3 კb4 15. კg2 მფe7 16. ეc1 ეb6 17. 0–0 ეhb8 18. ეfd1 ეa6 19. ეc2 კe6 20. მd4 კd7 21. a3 კd6 22. e4 კe5 23. f4 კc7 24. e5 მg4 25. კ×c6მe3 26. მd5+ მ×d5 27. კ×d5 კb6 28. მფg2 ეd8 29. ეcd2 კa4 30. მf5+ მფf8 31. კb7 კ×d1 32. ე×d8+ კ×d8 33. კ×a6 კb6 34. კc4 კc2 35. მd6 კd4 36. b4 კb2 37. მ×f7 კ×a3 38. b5 კe4+ 39. მფh3 მფe7 40. მg5 კc2 41. g4 (ჩაწერილი სვლა) 41. ... კb2 42. მf7 კd4 43. მფg3 კd3 44. მd6 კc2 45. მფf3 h6 46. კe2 მფd7 47. მc4 კb1 48. მe3 კc3 49. კc4 g6 50. კf7 კd4 51. მd5 კc5 52. მf6+ მფe7 53. კc4 მფf8 54. მd7+. შავები დანებდნენ.

გუშინ, დუბნაში მეცხრე პარტია შედგა. ალექსანდრიამ ალმავლობით ჩაატარა იგი, 39-ე სვლაზე გაიმარჯვა და კვლავ დაწინაურდა — 5:4. მეათე პარტია კვირას, 4 დეკემბერს უნდა გაიმართოს.

ლონდონის მატჩებზე

დიდი შთაბეჭდილება დატოვა ვ. სმისლოვის ბრწყინვალე თამაშმა ზ. რიბლისთან მეხუთე პარტიაში. რიბლიმ „შეიტყუა" სმისლოვის ლაზიერი თავის ბანაკში, რათა თავად ცენტრში შეეტია, მაგრამ პირიქით მოხდა — ამ ლაზიერმა თეთრების ულამაზესი კომბინაციური იერიში განაპირობა.

საინტერესო გართულებები დაიწყო 22-ე სვლაზე. კუს შეწირვის გარდა 22. მh5-ით იგებდა. 26. მფe 7-ზე სმისლოვი ასე 27. ლ×g7 ეg8 28. ე×e6+!

აი, ეს პარტია:

1. d4 მf6 2. მf3 e6 3. c4 d5 4. მc3 c5 5. c×d5 მ×d5 6. e3 მc6 7. კd3 კe7 8. 0—0 0—0 9. a3 c×d4 10. e×d4 კf6 11. ლc2 h6 12. ეd1 ლb6 13. კc4 ეd8 14. მe2 კd7 15. ლe4 მce7 16. კd3 კa4 17. ლh7+ მფf8 18. ეe1 კb5 19. კ×b5 ლ×b5 20. მg3 მg6 21. მe5 მde7 22. კ×h6 მ×e5 23. მh5 მf3+ 24. g×f3 მf5 25. მ×f6 მ×h6.



26. d5 ლ×b2 27. ლh8+ მფe7 28. ე×e6+ f×e6 29. ლ×g7+ მf7 30. d6+ ე×d6 31. მd5+ ე×d5 32. ლ×b2 b6 33. ლb4+ მფf6 34. ეe1 ეh8 35. h4 ეhd8 36. ეe4 მd6 37. ლc3+ e5 38. ე×e5 ე×e5 39. f4 მf7 40. f×e5+ მფe6 41. ლc4+. შავები დანებდნენ.

ამრიგად, დაწინაურდა სმისლოვი — 3:2.

გუშინ მეტოქეებმა მეექვსე პარტია გაითამაშეს.

* * *

გ. კასპაროვ — ვ. კორჩნოის მატჩის მეხუთე პარტია ყაიმით დასრულდა 22-ე სვლაზე.

კორჩნოიმ დებიუტიდან ცოტა უარესი პოზიცია მიიღო, ამიტომ თამაშის გამარტივებას ცდილობდა. მას კასპაროვმაც შეუწყო ხელი ლაზიერის ფრთის პაიკების დასუსტებით. მდგომარეობა რომ გათანაბრდა, კასპაროვმა მეტოქეს დაზავება შესთავაზა.

აი, ეს პარტია:

კასპაროვი — კორჩნოი

კატალონური დასაწყისი

1. d4 მf6 2. c4 e6 3. g3 d5 4. კg2 d×c4 5. მf3 c5 6. 0—0 მbd7 7. მa3 მb6 8. მ×c4 მ×c4 9. ლa4+ კd7 10. ლ×c4 b5 11. ლc2 ეc8 12. d×c5 კ×c5 13. ლb3 0—0 14. მe5 ლb6 15. კg5 ეfd8 16. ლf3 კe7 17. მ×d7 ე×d7 18. ეac1 ეcd8 19. ლc6 ლa5 20. a3 b4 21. კf4 მd5. ყაიმი.

კვლავ წინაა კორჩნოი — 3:2. 3 დეკემბერს გაიმართება მეექვსე პარტია.

როგორც ვიუწყებოდით, დამთავრდა საქართველოს 1983 წლის პირველობის გათამაშება ფეხბურთში. აღმოსავლეთი და დასავლეთი ზონების 6 საუკეთესო გუნდის ფინალურ ტურნირში წარმატებით ითამაშეს წყალტუბოს „სამგურალის" ფეხბურთელებმა, რომლებმაც შეუპოვარ, მეტად ძნელ ბრძოლაში სძლიეს მეტოქეებს და მოიპოვეს რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს 1983 წლის ჩემპიონი ფეხბურთში წყალტუბოს „სამგურალი".

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.
(„ლელოს" სპეც. კორ.).

●

(საქართველოს ჩემპიონატისადმი მიძღვნილი მასალები იხ. მე-3 გვერდზე).

მარულა
გამოშვება
1

ცხენი და ცხენოსნობა საერთო საზრუნავია

● **როგორია ახლადშექმნილი საზოგადოების მიზანი და ამოცანა?**

თ. გაჩეჩილაძე: უნდა ითქვას, რომ ასეთი საზოგადოება საბჭოთა კავშირში პირველად შეიქმნა და ამდენად, შესაძლებლობა არ გვქონია ვინმესგან გადმოგველო გამოცდილება. საზოგადოების შექმნას საფუძვლად დაედო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის დადგენილება „მეცხენეობის, საცხენოსნო სპორტისა და ტურიზმის განვითარების შესახებ“. ძირითადად ამ დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანების შესაბამისად განისაზღვრა ახალი საზოგადოების სამომავლო გეგმები. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, რომელიც თანმიმდევრულად იღვწის ჩვენი ხალხის ეროვნული ტრადიციების აღდგენა-გაღრმავებისათვის, მოწონებით შეხვდა საინიციატივო ჯგუფის წინადადებას ახალი საზოგადოების შექმნის შესახებ.

მაინც რა კონკრეტულ ამოცანებს ისახავს ეს საზოგადოება? პირველ ყოვლისა — ადგილობრივი ჯიშის ცხენების შენარჩუნებას, მათ მოვლა-პატრონობას, ჯიშობრივ გაუმჯობესებას და, რაც მთავარია, მათს ადამიანის საკეთილდღეოდ გამოყენებას თანამედროვე პირობებში. აქ კი წინა პლანზე გამოდის ცხენოსნობის ეროვნული სახეობებისა და ცალკეული ვარჯიშების აღდგენა-განვითარება, გამაჯანსაღებელი და სამკურნალო ცხენოსნობის უფრო ფართოდ დანერგვა, საცხენოსნო ტურიზმის მასშტაბური განვითარება.

საზოგადოება ხელს შეუწყობს სპორტულ ორგანიზაციებს საცხენოსნო ასპარეზობათა ჩატარებაში. აღდგება საცხენოსნო ამუნიციისა და ინვენტარის წარმოება, მასობრივი ტირაჟით გამოიცემა სპეციალური ლიტერატურა, დამზადდება სუვენირები, კალენდრები და ა. შ. ცხენოსნობის მოყვარულებს უთუოდ გაახარებს ის ამბავი, რომ გაიხსნება საქართველოს მეცხენეობისა და ცხენოსნობის მუზეუმი და სპეციალური ბიბლიოთეკა. ერთი, სიტყვით ყველაფერი გაკეთდება, რათა ცხენმა და ცხენოსნობამ კვლავ დაიბრუნოს ის სიყვარული, რაც ოდითგანვე ახასიათებდა ჩვენს ხალხს.

● **ვინ შეიძლება იყოს საზოგადოების წევრი?**

თ. კეკელიძე: საზოგადოება ნებაყოფლობითია და მისი წევრი შეიძლება იყოს ყველა, ვისაც 18 წელი შეუსრულდება. მსურველებს შემოაქვთ განცხადება და წევრად მიღების შემდეგ მიეცემათ საწევრო ბილეთი. მოზარდებისათვის კი საზოგადოებასთან შეიქმნება კლუბები იმისდამიხედვით, ვის სად სურს იმეცადინოს.

გარდა ინდივიდუალური წევრებისა, საზოგადოებას უფლება აქვს თავის რიგებში გააერთიანოს მთლიანად კოლექტივები. საზოგადოების წევრებს ნება ეძლევათ სურვილისამებრ აირჩიონ და გაერთიანდნენ ერთ-ერთ სექციაში, რომელიც საზოგადოებასთან შეიქმნება. მაგალითად, ასეთი სექციებია: ცხენოსნობის ეროვნული სახეობების, ცხენოსნობის საერთაშორისო სახეობებისა, ტურიზმისა, გამაჯანსაღებელი და სამკურნალო ცხენოსნობისა, მეცხენეობისა და ცხენთა გამოცდისა, საზოგადოებრივი კადრების მომზადებისა, პროპაგანდისა და ა. შ. გათვალისწინებული გვაქვს აგრეთვე საზოგადოებასთან შევქმნათ როგორც ვეტერანთა, ისე ახალგაზრდა მხედართა კლუბი.

● **საზოგადოების მუშაობის ეფექტიანობა, ცხადია, ძირითადად დამოკიდებული იქნება ცხენთა რაოდენობაზე. რა ღონისძიებები გატარდება იმისათვის, რომ რესპუბლიკის რეგიონებში კვლავ შეინარჩუნონ ეს გონიერი და ჰკვიანი არსება?**

დ. წვერავა: ცხენთა სულადობის კატასტროფულად შემცირებას ხელი შეუწყო სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა. ცხენმა დაკარგა ოდინდელი ფუნქცია, თანამედროვე პირობებში მისი შენარჩუნებით კი არავინ დაინტერესებულა. რესპუბლიკაში უსაფუძვლოდ დაიხურა ცხენსასაქონლო და ცხენსაჯიშე ფერმები, რომლებსაც ძირითადად ადგილობრივი ჯიშის ცხენებზე ზრუნვა ევალებოდათ. რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების დადგენილებით მდგომარეობა თანდათან სწორდება. კვლავ იხსნება სპეციალური ფერმები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ტარდება კონკრეტული ღონისძიებები, რათა კულარის ცხენსაშენმა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნას მუშაობა. კარგა ხანია ეს ცხენსაშენი მაღალი კლასის მერნებით ვერ აკმაყოფილებს ვერც იპოდრომს და ვერც საცხენოსნო კლუბებს. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ საკავშირო და საერთაშორისო დოღებში ამ ცხენსაშენის ბედაურები დიდი ხანია აღარ მონაწილეობენ. საქართველოში გაიხსნება მეორე ცხენსაშენი, რომელიც საგანგებოდ წმინდა სისხლის ცხენების მოშენება-მომრავლებას დაისახავს მიზნად. საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ისიც არის, რომ თავისი წვლილი შეიტანოს ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის დროულად მოგვარებაში.

● **როგორც წარსულში მხედარი-სპორტსმენი და პროფესიით ექიმი, რას გვეტყვით გამაჯანსაღებელი და სამკურნალო ცხენოსნობის შესახებ?**

— გამაჯანსაღებელი ჯგუფები ცხენოსნობაში კარგა ხანია მუშაობს თბილისის იპოდრომზე. გაჯანსაღების ეს საშუალება ძალზე ეფექტურია, მაგრამ ამდაგვარი ჯგუფების მასობრივად გახსნის შესაძლებლობას ისევ და ისევ ცხენთა ნაკლებობა არ იძლევა. რაც შეეხება სამკურნალო ცხენოსნობას ანუ ჰიპოთერაპიას, მას დღეს მთელ მსოფლიოში წარმატებით იყენებენ მრავალ დაავადებათა პროფილაქტიკასა და მკურნალობაში.

ვიმედოვნებთ, რომ ახალი საზოგადოების ხელშეწყობით ჰიპოთერაპიას შეძლებისდაგვარად ჩვენც ფართოდ დავნერგავთ რესპუბლიკაში.

● **ბევრს აინტერესებს საცხენოსნო ტურიზმის პერსპექტივები. რა გაკეთდება „უნაგირზე დასვენების“ მოყვარულთათვის, რა მარშრუტებს შესთავაზებთ ჩამოსულ სტუმრებს?**

ნ. რუხაძე: საცხენოსნო ტურიზმში ასე თუ ისე უკვე გვაქვს გარკვეული გამოცდილება. პირველი ნაბიჯები თბილისის იპოდრომზე გადაიდგა. დედაქალაქიდან რამდენიმე მარშრუტით შეიძლება როგორც ერთდღიან, ისე ორ და მრავალდღიან მოგზაურობაში გასვლა. ახლო მომავალში ამ მარშრუტებზე აიგება საგანგებო ბაზები ცხენებისა და ტურისტების შესასვენებლად და ღამის გასათევად. ტურიზმის რესპუბლიკურმა საბჭომ მოიწონა რამდენიმე მარშრუტი, რომლის ტრასებზე ჩვენთან დასასვენებლად ჩამოსულ სტუმრებსაც ვიხილავთ.

● **ბოლო წლებში რესპუბლიკაში ცხენოსნობის საერთაშორისო სახეობებში ერთგვარი წინსვლა შეიმჩნევა, რაც სსრ კავშირის ხალხთა წლევანდელი სპარტაკიადის ფინალმაც დაადასტურა. რა გავლენას მოახდენს ახალი საზოგადოება საქართველოში საცხენოსნო სპორტის შემდგომ განვითარებაზე?**

გ. კალმახელიძე: როგორც ცნობილია, ოსტატობას მასობრიობა განაპირობებს. თუ მივაღწევთ, რომ კვლავ მასობრივი და პოპულარული გავხადოთ ცხენოსნობის ეროვნული სახეობები, თუ მრავლად გვექნება საცხენოსნო გამაჯანსაღებელი ჯგუფები, მაშინ ცხენოსნობის საერთაშორისო სახეობებისთვის საუკეთესოთა შერჩევის მეტი შესაძლებლობაც მოგვეცემა. სპორტის ისტორიამ არაერთი ფაქტი იცის, როცა არათუ გამაჯანსაღებელი, არამედ სამკურნალო ცხენოსნობიდანაც კი ოლიმპიურ სარბიელამდე მისულა მხედარი.

მ. ტატიშვილი: ახალი საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ბავშვთა შორის მუშაობას, ვინაიდან დიდი სპორტის მაგისტრალური ხაზი სწორედ ბავშვთა სპორტზე გადის. სამწუხაროდ, სადღეისოდ ამ მხრივ ბევრით ვერაფრით დავიტრაბახებთ. საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტული სკოლისა და საქართველოს სპორტკომიტეტის ცენტრალური საცხენოსნო ბაზის გარდა ბავშვთა ცხენოსნობა ჩვენში არც ერთ რეგიონში არ დგას სასურველ დონეზე.

ცხენოსნობა დღეს სპორტის იმ სახეობათა შორის იმკვიდრებს ადგილს, სადაც მკვეთრად შეიმჩნევა გაახალგაზრდავების პროცესი. ჩვენი ამოცანაა ამთავითვე დავიპყროთ თადარიგი, რომ არ ჩამოვრჩეთ სადღეისო და სახვალიო მოთხოვნებს. მაგრამ ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ცხენოსნობა აფაქიზებს მოზარდის სულს, ხელს უწყობს მასში რაინდული თვისებების გამომუშავებას.

● **აქვე იქნებ რამდენიმე სიტყვა გვითხრათ თბილისის იპოდრომის შესახებ. ასეთი სარბიელი ერთადერთია ჩვენს რესპუბლიკაში და, ცხადია, იგი ცხენოსნობის მოყვარულთა მიმზიდველი და საყვარელი ადგილი უნდა იყოს. რა გაკეთდება ახლო მომავალში, რომ თბილისის იპოდრომს კვლავ დავუბრუნოთ მაყურებელი?**

ო. ლორთქიფანიძე: არც თუ შორეულ წარსულში ჩვენი იპოდრომი თბილისელთა თავშეყრის მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი იყო. ცხენოსნობის საერთაშორისო სახეობებში შეჯიბრებების გარდა აქ იმართებოდა საჩვენებელი გამოსვლები ცხენოსნობის ეროვნულ თამაშებში, ტარდებოდა სოფლის ცხენოსანთა საკავშირო ასპარეზობები. დღეს კი იპოდრომის საექსპლოატაციო პირობები და შესაძლებლობები აღარ შეეფერება თანამედროვე მოთხოვნებს.

ქვეყნის მოწინავე ცხენსაშენებმა რომ ჩვენთან ჩატარებულ ცხენგამოცდის სეზონში მონაწილეობა მიიღოს, იპოდრომი უნდა პასუხობდეს საკავშირო და საერთაშორისო სტანდარტებს. მართალია, ბოლო ხანებში ჩვენთან ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. მხოლოდ იპოდრომის კეთილმოწყობის გენერალური გეგმის სრული ხორცშესხმა მოგვცემს შესაძლებლობას ჩვენთან მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდეს ცხენგამოცდის სეზონი.

● **დაბოლოს კიდევ ერთი შეკითხვა. საზოგადოების საქმიანობა მთლიანად საზოგადოებრივ საწყისებზე აიგება თუ შტატის მუშაკებიც ეყოლება?**

ე. კუხალეიშვილი: ახალი საზოგადოება ჩამოყალიბდა, როგორც იურიდიული ორგანიზაცია, რომლის აპარატის ფინანსური წყარო იქნება საწევრო ანარიცხები და სხვა შემოსავალი. ცხადია, საზოგადოების საქმიანობაში დიდ წვლილს შეიტანს აგრეთვე საზოგადოებრივი აქტივი.

გადაშენება აღარ დაემუქრება

ჯერ 100 წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც დედამიწაზე ყველა სამუშაოთა 96 პროცენტი კუნთური ენერგიით სრულდებოდა. ამჟამად კი შრომის 95 პროცენტი მექანიზებულია. როცა კუნთურ ენერგიაზე ვლაპარაკობთ, ცხადია, მხოლოდ ადამიანის ხელით შრომა არ იგულისხმება. გასული საუკუნის მიწურულს აგრეთვე ფართოდ იყო გამოყენებული ცოცხალი გამწევი ძალა. მათ შორის რა თქმა უნდა, ცხენიც.

სამეცნიერო ტექნიკურმა რევოლუციამ არა მარტო ადამიანი, არამედ ცხენიც გამოათავისუფლა მძიმე ფიზიკური შრომისაგან. მაგრამ თუ ამ პროცესმა ადამიანს კეთილდღეობა და კომფორტი მოუტანა, ჩვენს ოდინდელ ოთხფეხა მეგობარს იგი გადაშენება-განადგურებით დაემუქრა. ტექნიკური პროგრესის ტემპის ზრდის შესაბამისად კლებულობდა ცხენთა სულადობაც. მერე გაჩნდა ბევრისთვის კარგად ცნობილი მოარული გამოთქმა: „რაც უფრო ვუახლოვდებით კოსმოსს, მით უფრო ძვირდება ცხენი“.

თუ რა ბედი ეწია ცხენს ცივილიზაციის პირობებში, ამაზე ნათლად მეტყველებს ასეთი სტატისტიკა: 1930 წელს ჩვენს პლანეტაზე სულ 120 მილიონი ცხენი ყოფილა. 1956 წელს ეს რიცხვი დავიდა 80 მილიონამდე, ხოლო 1976 წლისათვის — 66 მილიონამდე.

1930 წლის აღწერით საბჭოთა კავშირში იყო 32,6 მილიონი ცხენი. 1941 წელს კი გაცილებით ნაკლები — 21,6 მილიონი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩვენში დარჩა მხოლოდ 13 მილიონი ცხენი. 1965 წელს იყო 9,9 მილიონი, 1972 წელს 7,4 მილიონი, 1978 წელს 6,4 მილიონი. 1981 წლისათვის კი მათი სულადობა 5,6 მილიონამდე დაეცა.

1950 წლიდან მოყოლებული ცხენთა სულადობის შემცირება განსაკუთრებით საგრძნობი იყო ევროპაში. ამ კონტინენტზე ერთადერთი გამონაკლისი გახლდათ ისლანდია, სადაც მერნებს არასოდეს უგრძვნიათ ტექნიკის კონკურენცია. ცხენთა სულადობის შემცირების პროცესი შედარებით ნელა მიმდინარეობდა აზიაში. ეს იმითაც უნდა აიხსნას, რომ ამ კონტინენტის ბევრ ქვეყანაში შედარებით გვიან შემოვიდა ტექნიკური პროგრესი. რაც შეეხება იაპონიას, აქ ცხენის ბედი პირდაპირ კავშირშია ეპოქალურ გარდაქმნასთან. 488 ათასიდან ამ ქვეყანაში 1976 წელს მხოლოდ 34 ათასი ცხენი დარჩა. ისეთ ქვეყნებში კი, როგორიცაა ბირმა, ინდონეზია და ავღანეთი, ცხენთა რაოდენობამ მოიმატა.

ყველაზე მეტი შეშფოთების მიზეზი ჰქონდათ ფრანგებს. ამ ქვეყანაში მილიონ-ნახევრიდან მხოლოდ 401 ათასი ცხენი დარჩა. ქვეყანაში სასწრაფოდ დაიწყეს საგანგებო ზომების მიღება. საქმე იქამდეც მივიდა, რომ შეიქმნა ცხენის დაცვის საზოგადოებები. ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე ადრე აუღეს ალღო მოახლოებულ საშიშროებას. 1961-1965 წლებში, როცა სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ცხენთა რაოდენობა კატასტროფულად მცირდებოდა, აქ ბედაურთა სულადობა 5 მილიონით, ანუ ორჯერ და მეტად გაიზარდა. ეს ტენდენცია შეიმჩნევა ამერიკის მთელ კონტინენტზე, სადაც ცხენთა რიცხვმა მოიმატა 30 პროცენტით და მიაღწია 82,2 მილიონს. სხვა კონტინენტებზე, კერძოდ, აფრიკაში იმავე პერიოდში ცხენთა სულადობა გაიზარდა მხოლოდ 4 პროცენტით, ავსტრალიაში კი — 19 პროცენტით.

ჩვენს საუკუნეში ყველაზე მეტი ცხენი მეორე მსოფლიო ომმა შეიწირა. საბჭოთა კავშირში განადგურდა თითქმის 10 მილიონი ცხენი. აქედან 7 მილიონი მტერმა მარტო ოკუპირებულ ტერიტორიაზე ამოხოცა. ფაშისტები ცხენების მიმართაც გაუგონარ სისასტიკეს იჩენდნენ — წვავდნენ თავლებში, ხვრეტდნენ, ერეკებოდნენ ტყვედ... ყუბანის ველზე 1942 წელს ფაშისტებმა თვითმფრინავიდან ამოხოცეს ცხენების მთელი რემა. საბჭოთა კავშირის მფრინავ-კოსმონავტს, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირს ვიქტორ გორბატკოს, მაშინ 8 წლის ყმაწვილს, საკუთარი თვალით უხილავს ეს საზარელი სცენა და, როგორც თავად იგონებს, მაშინ გადაუწყვეტია გამხდარიყო მფრინავი. ვიქტორს თავდავიწყებამდე უყვარდა ცხენი, რადგან დიდ დროს ატარებდა მამის გვერდით, რომელიც ბეითალი იყო.

საქართველოში ცხენის განსაკუთრებული სიყვარულით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მათი სულადობის ომამდელი დონე ჩვენს რესპუბლიკაში სულ რაღაც ორ წელიწადში აღდგა. 1948 წლისათვის კი საქართველოში 10,3 პროცენტით მეტი ცხენი იყო, ვიდრე ომამდე. 1949 წლის 17 ნოემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საგანგებო დადგენილება გამოიტანეს „1950-1951 წლებში საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და ცხენთსაშენებში მეცხენეობის განვითარების შესახებ“. მაგრამ ეს იყო რესპუბლიკაში მეცხენეობისა და ცხენოსნობის აღმავლობისათვის ზრუნვის ძალზე მოკლე ხანა.

ცხენთა სულადობის დაცემა განსაკუთრებით 50-იანი წლების მეორე ნახევრიდანაა შესამჩნევი. 1955 წელს ჩვენში 120 ათასი ცხენი იყო. გავიდა 13 წელიწადი და ეს რაოდენობა თითქმის განახევრდა — დარჩა 63 ათასი. 1969 წელს საქართველოში აღრიცხული 61.300 ცხენი, 1970 წელს — 56.000, 1971 წელს — 52.548, 1972 წელს — 48.500, 1973 წელს 46.660, 1979 წელს 44.867. 1980 წელს დარჩა მხოლოდ 30 ათასი სული.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „მეცხენეობის საცხენოსნო სპორტისა და ტურიზმის განვითარების შესახებ“ ჩაწერილია, რომ „ყოველწლიურად უსაფუძვლოდ მცირდება ცხენის სულადობა, დაბალ დონეზეა ცხენების მომრავლება, მთლიანად არ იყენებენ რეზერვებს მეცხენეობის საცხენოსნო სპორტისა და ტურიზმის განვითარებისათვის“.

როგორც მკითხველისთვის ცნობილია, ამ დღეებში შეიქმნა მეცხენეობის, საცხენოსნო სპორტისა და საცხენოსნო ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი რესპუბლიკური საზოგადოება, რომელიც იზრუნებს არა მარტო ცხენის სულადობის ზრდისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ ამ ჭკვიანმა არსებამ კვლავაც გაალამაზოს ადამიანის ცხოვრება.

თ. თომაშვილი.

„სპარტაკი“ შინ თამაშობს...

„ლელო“ ინტერვიუ



ზამთრიდან ზაფხულში „მოხვედრამ“, საჰაერო ლაინერის წყალობით რაღაც 2 საათის განმავლობაში რომ გახდა შესაძლებელი, საუკეთესო ხასიათზე დააყენა სპარტაკელები. ამასთან თბილისის აეროპორტში არც დამხვდურთა უკმარისობა იყო და სტუმარ-მასპინძლებმა (თუ მოსკოვის „სპარტაკის“ გუნდს ამჯერად „სტუმრებს“ ვუწოდებთ) კარგა ხანს იჯერეს გული მეგობრული საუბრით. აქვე გაიმართა ჩვენი იმპროვიზირებული ინტერვიუ, რომელშიც ტრადიციისამებრ, „პირველ ვიოლინოს“ სპორტის დამსახურებული ოსტატი ნიკოლოზ სტაროსტინი ასრულებდა. 81 წლის ვეტერანი, საბჭოთა ფეხბურთის პატრიარქი, ღრმად ერუდირებული, თავაზიანი და კეთილმოსურნე ადამიანი, დღესაც ჭაბუკური ენერგიით ზრუნავს ჩვენს ფეხბურთზე, თავს ევლება მშობლიურ „სპარტაკს“, რომლის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი თვითონ გახლავთ.

„დიდი ფეხბურთის ვარსკვლავები“ — უნებლიედ გაგვახსენდა ნ. სტაროსტინის შესანიშნავი წიგნი, როდესაც მასთან ერთად მეგობრულად მოსაუბრე ძველ „გვარდიელებს“ კონსტანტინე ბესკოვს, ბორის პაიჭაძესა და გიორგი ანთაძეს ვუცქერდით.

● **მოსკოვის „სპარტაკი“ ადრე ორჯერ მასპინძლობდა ჩვენს ქალაქში ევროპის საკლუბო ტურნირებზე მოასპარეზე ესპანელ ფეხბურთელებს — მადრიდის „რეალსა“ (ჩემპიონთა თასზე) და „ვალენსიას“ (უეფა-ს თასზე). რამ განაპირობა თბილისის „დინამოს“ სტადიონის მესამედ არჩევა?**

— თქვენი გაზეთისათვის წინათ მიცემულ ინტერვიუშიც გულწრფელად აღვნიშნე, რომ ქართველი გულშემატკივრები, პირველ რიგში მხედველობაში მყავს თბილისელი ფეხბურთის მოყვარულები, მუდამ იყვნენ ერთ-ერთი საუკეთესონი კავშირში, კარგად იციან თამაშის წვრილმანებიც კი, გულითადად, მოყვრულად მასპინძლობენ სტუმრებს, რაინდულად იქცევიან ტრიბუნებზე. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მოსკოვში დღეს დილით 10 გრადუსი ყინვა იყო, აქ კი პლუს 15-ია. თუ გახსოვთ, თბილისში მაშინ ჩვენ ორივე მატჩი ნულოვან ფრედ დავამთავრეთ. ასეთი შედეგი თეთრ-წითლებისათვის ახლაც ხელსაყრელია, რადგან როტერდამის „კასტეელის“ სტადიონზე 1:1 ვითამაშეთ, მაგრამ რა დასამალია, „სპარტაკი“ თბილისში გამარჯვებისთვის ჩამოვიდა.

● **სწორად გაგვიგეთ და მასპინძლებს მოგვეჩვენა, რომ თქვენი გუნდი უეფა-ს თასის მერვედფინალის მეორე მატჩზე, ცოტა არ იყოს, ადრე ჩამოვიდა...**

— გეთანხმებით, მაგრამ ამჯერად საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტი გვაქვს: მოსკოვში „სპარტაკის“ დახურულ მანეჟში ვვარჯიშობდით ხელოვნურსაფარიან „გაზონზე“, აქ კი შესაძლებლობა გვაქვს მწვანე ბალახზე განვაგრძოთ მზადება. სხვათაშორის, ჩვენს უკანასკნელ ვარჯიშზე მოსკოვში ძველი სპარტაკელი, თქვენი თანამემამულე ჯემალ სილაგაძე გვესწრებოდა (იგი მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში სწავლობს, მეორე კურსზეა): სწორი გადაწყვეტილება მიგიღიათ, — გვითხრა მან,—რომ შეიძლებოდეს, მეც სიამოვნებით ვითამაშებდი თბილისის სტადიონზეო.

● **რა შთაბეჭდილება დატოვა პირადად თქვენზე ჰოლანდიის „სპარტამ?“**

— რა თქმა უნდა, ეს არც „აიაქსია“, არც „ფეიენოორდი“ და არც „ეინდჰოვენი“, მაგრამ როტერდამის „სპარტა“ საკმაოდ ძლიერი გუნდია — ჰოლანდიური ფეხბურთის ტიპიური წარმომადგენელი, ტექნიკური, მშვენივრად იბრძვის ჰაერში. ცხადია, სამხრეთული ტემპერამენტი ჰოლანდიურ ფეხბურთს არ შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ „სპარტას“ გამარჯვებისადმი დიდი ლტოლვა, შეუდრეკელობა, მე ვიტყოდი, სიჯიუტე ახასიათებს. ყოველ შემთხვევაში როტერდამელებმა ჩვენთან შეხვედრაში ასეთი შთაბეჭდილება დატოვეს. უნდა ვიფიქროთ, რომ ასევე ითამაშებენ სტუმრები თბილისშიც. ასე რომ, იოლ მატჩს ნურავინ ელის. მართალია, აქ პატარა „ნიუანსი“ არსებობს, რომელიც ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებს. საქმე ისაა, რომ როტერდამში „სპარტამ“ (როგორც ადგილობრივი პრესა წერდა) თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა, აი „სპარტაკმა“ კი ამჯერად ვერ ითამაშა, ყოველ შემთხვევაში ჩვენი თამაში არ გავიდა „ასტონ ვილასთან“ ბირმინჰემში ჩატარებულ ორთაბრძოლას. გვინდა ვიფიქროთ, რომ ჭეშმარიტება ამჯერად სადღაც „შუაში“ იქნება — ჩვენ უკეთ ვიასპარეზებთ და თამაშითაც თუ შედეგითაც სიამოვნებას მოვუტანთ თბილისის გიგანტური სტადიონის ტრიბუნებს, რომლებიც, ეჭვი არ გვეპარება, ერთგულად გვიქომაგებენ და პირველიდან უკანასკნელ წუთამდე „ზურგის ქარს“ შეგვიქმნიან.

● **ვის გამოჰყოფდით პირველი თამაშის მიხედვით „სპარტაკსა“ და „სპარტაში?“**

— ჩვენს გუნდში აშკარად დასაევს, როტერდამელებისაში კი პირველ რიგში ცენტრალურ თავდამსხმელ ხოლვერდას (№ 10), რომელიც საუცხოოდ თამაშობს თავით, ნახევარმცველებს — მაღალი ტანის ვან დერ ბერგს (№6) და გუნდის კაპიტანს ვან გაალს (№ 7).

● **თქვენს რიგებს მგონი რამდენიმე მოთამაშე დააკლდება?**

— სამწუხაროდ, ალბათ, უფრო მეტი, ვიდრე თქვენ ფიქრობთ: პირველ რიგში ესაა გესი, რომელიც, როგორც იცით, პორტუგალიელმა მსაჯმა გააძევა თამაშიდან. კვლავ ვერ გამოვა ტრავმირებული კუზნეცოვი, კითხვის ქვეშაა პოზდნიაკოვისა და ბუბნოვის მონაწილეობა. მაგრამ მინდა ვიფიქრო, რომ ამ დარჩენილ დროში გუნდის ექიმები შეძლებენ ამ ფეხბურთელთა განკურნებას.

გვაქვს კიდევ ერთი პრობლემა — ბაზულევი! ამ ახალგაზრდა [illegible] როტერდამის მატჩის არბიტრმა ოქმში შეცდომით ჩაუწერა მეორე გაფრთხილება (შეეშალა როდიონოვში) და გუნდის ახსნა-განმარტებამ უეფა-ს შტაბ-ბინაში ჯერჯერობით დადებითი შედეგი ვერ მოიტანა.

... დასასრულს მსურს ქართველი ფეხბურთის გულშემატკივრებს ჩემი აზრი გავუზიარო: თბილისის „დინამო“ მალე კვლავ გახდება... თბილისის „დინამო“ (მინდა ვიფიქრო, რომ უკვე გაისად!) — ტექნიკური, ლამაზი, დიდოსტატური გუნდი, რომელიც ასე უყვართ ფეხბურთის თაყვანისმცემლებს. რაც შეეხება მის ახალ უფროს მწვრთნელს, ცნობილია, რომ დავით ყიფიანი გამოჩენილი, ხაზს ვუსვამ, საზრიანი, ფეხბურთელი იყო, ამიტომ, ვფიქრობ, შეუძლია კარგი მწვრთნელიც დადგეს.

ინტერვიუ მიჰყავდა
ო. ნოზაძეს.

* * *

სურათებზე: ნ. სტაროსტინი ინტერვიუს აძლევს ჟურნალისტებს; სპარტაკელთა ვარჯიში. მარცხნიდან — კ. ბესკოვი, მეკარე რ. დასაევი, თავდამსხმელი ს. როდიონოვი.

გ. სანაიას ფოტოები.

ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83

„სამგურალი“ ჩემპიონია

მახარაძე. „მერცხალის“ სტადიონი. „სამგურალი“ (წყალტუბო) — „კახეთი“ (თელავი) 1:0 (1:0).
მსაჯები: ვ. მიმინოშვილი, ვ. ეჯიბაია (ორივე — თბილისი), ი. გობრონიძე (ფოთი).

„სამგურალი“: ჯანელიძე, წიქარიშვილი, თევზაძე, გოგოლაძე, ტეხოვი, ქვირია, გორგოძე, ფესტვენიძე, კერესელიძე, სვანაძე, მანაგაძე (ხარაბაძე).

„კახეთი“: ზარიძე, სეროფიანი, კირვალიძე, ქელეხიძე, ბარნაბიშვილი, მაისურაძე (ჯაშიაშვილი), ბალათრიშვილი, როსტომაშვილი, გაგნაშვილი, რაზმაძე, აბდულაევი (სეროფიანი).

გააფრთხილეს: როსტომაშვილი, ქელეხიძე, გორგოძე, ტეხოვი, ქვირია.

საქართველოს 1983 წლის ჩემპიონის ვინაობა ფინალურ ექვსეულში მოასპარეზე გუნდების ტურნირში, ბოლო ტურამდე არ იყო გარკვეული. ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაეცა ვანის „სულორისა“ და ლაგოდეხის „ჰერეთის“, აგრეთვე, წყალტუბოს „სამგურალისა“ და თელავის „კახეთის“ მატჩებს.

ორივე თამაში ერთდროულად დაიწყო ჩოხატაურისა და მახარაძის სტადიონებზე. როგორც ცნობილია, „სულორმა“ ანგარიშით 2:1 სძლია მეტოქეს.

აქ კი, მახარაძის სტადიონზე მოსულნი კმაყოფილების გრძნობით ტოვებდნენ ტრიბუნებს — თამაში მართლაც საინტერესო და დაძაბული გამოდგა. პირველივე წუთიდან ფინალურ სასტვენამდე მინდორზე ვაჟკაცური, უშეღავათო ბრძოლა იყო გაჩაღებული. ეს განაპირობა იმანაც, რომ თელაველი ფეხბურთელები გამარჯვების შემთხვევაში საპრიზო სამეულში იმკვიდრებდნენ ადგილს.

პირველი ნახევარი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. იგრძნობოდა, რომ ერთმანეთს ხვდებოდნენ დაახლოებით თანაბარი ძალის გუნდები, თუმცა, განსხვავებული სტილისა. „კახეთის“ ათლეტურ თამაშს „სამგურალი“ სწრაფი კონტრშეტევებით პასუხობდა.

მინდვრის სიღრმეში მე-7 წუთზე ქვირია-სვანაძის წამოწყებული კომბინაცია კარის აღებით დაამთავრა ფესტვენიძემ, რის შემდეგ თამაშმა კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. თელაველი ფეხბურთელების ბალათრიშვილისა და აბდულაევის ძლიერი დარტყმები გაბედული ნახტომებით მოიგერია მეკარე ჯანელიძემ, შემდეგ „სამგურალის“ ნახევარმცველებმა ზედიზედ გაიყვანეს ხელსაყრელ პოზიციაში თავდამსხმელები, მაგრამ კერესელიძის, მანაგაძისა და სვანაძის დარტყმები ან უზუსტო იყო, ანდა ბურთებს ეუფლებოდა მეკარე ზარიძე.

მატჩის მეორე ნახევარი კვლავ მაღალ ტემპში მიმდინარეობდა. თელაველთა მწვრთნელმა თ. ცერცვაძემ 2 ფეხბურთელი შეცვალა და კიდევ უფრო გააძლიერა თავდასხმის ხაზი, მაგრამ აქ თავისი სიტყვა თქვა წყალტუბოელთა დაცვამ. ამ რგოლის ფეხბურთელები საუკეთესოდ მოქმედებდნენ გამოცდილი სტოპერის გოგოლაძის მეთაურობით, არ აძლევდნენ მეტოქეებს კარში დარტყმის საშუალებას.

წყალტუბოელებმა შუა ტაიმში მანაგაძის ნაცვლად მინდორზე სწრაფი თავდამსხმელი ხარაბაძე გამოიყვანეს, რომელმაც საუკეთესოდ ითამაშა. იგი ზედიზედ გადიოდა მეკარის პირისპირ და ზარიძეს მთელი თავისი ოსტატობის გამოვლენა დასჭირდა თავისი კარის სახსნელად. საკავშირო კატეგორიის მსაჯის ვ. მიმინოშვილის ფინალური სასტვენის ხმაზე ელექტროტაბლოზე კვლავ ანგარიში 1:0 ეწერა წყალტუბოელთა სასარგებლოდ. „სამგურალმა“ ღირსეულად მოიპოვა საქართველოს 1983 წლის ჩემპიონის წოდება.

მატჩის კომისარმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა კ. ყრუაშვილმა თამაშის შემდეგ გვითხრა:

— მატჩი მეტად დაძაბული და საინტერესო, სამსაჯოდ ძნელი გამოდგა. მსაჯებმა მიმინოშვილის მეთაურობით საუკეთესოდ ჩაატარეს ასპარეზობა.

გახარებულნი ტოვებდნენ სარბიელს „სამგურალის“ უფროსი მწვრთნელი ომარ ჯორბენაძე და მწვრთნელი მამუკა გამგონეიშვილი:

— კმაყოფილნი ვართ, რომ გავამართლეთ გულშემატკივართა იმედი. ჩვენი გუნდის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიგვაჩნია ახალგაზრდა, კარგი მომავლის მქონე ფეხბურთელების მომზადება რესპუბლიკის ოსტატთა გუნდებისთვის. მთელი კოლექტივის სახელით მადლიერების გრძნობით გვინდა მოვიხსენიოთ ჩვენი გუნდის გულშემატკივრები, რაიონის ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სოფელ ნატანების კოლმეურნეობის მესვეურნი (პირადად კი გ. წითლიძე), რომლებმაც ფინალურ ტურნირში მონაწილეებს საუკეთესო პირობები შეგვიქმნეს.

გ. დოლენჯაშვილი.
(„ლელოს“ სპეც. კორ.).

• • •

სურათებზე: „სამგურალისა“ და „კახეთის“ შეხვედრის მომენტები.

ავტორის ფოტოები.



დამნაშავენი დასაჯეს

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის სხდომამ განიხილა ინციდენტი, რომელიც მოხდა II ლიგის ზონებში გამარჯვებული გუნდების ფინალურ მატჩში: „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „ნეფტიანიკი“ (ფერგანა).

ამ თამაშის დროს ფერგანელმა გ. მოტლახმა და კუიბიშეველმა ა. ბაბანოვმა მუშტი-კრივი გამართეს ერთმანეთთან, რისთვისაც მსაჯმა ისინი მინდვრიდან გააძევა. „ნეფტიანიკმა“ და „კრილია სოვეტოვმა“ თავიანთ საერთო კრებებზე გადაწყვიტეს 5-5 კალენდარული მატჩით მიეცათ დისკვალიფიკაცია ამ ფეხბურთელებისთვის.

საკავშირო სპორტტექნიკური კომისია არ დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას და გამოიტანა თავისი დადგენილება: რახან გ. მოტლახი ჩხუბის წამომწყები იყო, მას დისკვალიფიკაცია მიეცეს 1984 წლის საკავშირო გათამაშების პირველი წრის დასასრულამდე, ხოლო ა. ბაბანოვი ვერ ითამაშებს მომავალი წლის შეჯიბრების პირველ 10 მატჩს. მიეთითა „კრილია სოვეტოვის“ გუნდის უფროსს ი. შირთაევს, ხოლო „ნეფტიანიკის“ გუნდის უფროსი ლ. ვახტინი განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

პრიზი — ტაჯიკეთის ნაკრებს

სოჭში დამთავრდა ახალგაზრდა ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშება „გადასასვლელის“ პრიზზე.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ტაჯიკეთისა და აზერბაიჯანის ნაკრები გუნდები. ტაჯიკეთის ფეხბურთელებმა მეტოქეზე გაცილებით უკეთ ითამაშეს და დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვეს — 3:0.

● სსრ კავშირის 51-ე ჩემპიონატი კალათბურთში

ნაკლი რომ ნაკლად არ დარჩეს

ტურის უკანასკნელ მატჩში თბილისის „დინამომ“ დამაჯერებლად დაამარცხა კიევის ასკ და ახლა კარგ შესაძლებლობებს ინარჩუნებს ოთხეულში მოსახვედრად. თუმცა, ტაშკენტის „უნივერსიტეტთან“ გაუთვალისწინებელი მარცხი რომ არა, მიუხედავად დარჩენილი მატჩებისა, ჩვენს კალათბურთელებს პრაქტიკულად განაღდებული ჰქონდათ ეს ადგილი. ასე თუ ისე, იმ დაკარგულ ქულას აღარაფერი ეშველება, წაგებულ მატჩზე საუბარი კი ნამდვილად ღირს და საჭიროც არის. საფიქრებელია, რომ თვითონ კალათბურთელებმაც გაცილებით მეტი დრო სწორედ „უნივერსიტეტთან“ თამაშის ანალიზს მოანდომეს, რადგან წაგებულ მატჩში უფრო ხელშესახებად შიშვლდება შეცდომები, შეცდომებზე კი ყოველთვის შეიძლება რაღაც ისწავლო კაცმა.

მომავალ ტურამდე დარჩენილ დროს მეტ წილს გუნდი უეჭველად დაუთმობს ფარქვეშ თამაშის გაუმჯობესებას და საერთოდ, დაცვაში თამაშის კულტურას. ეს ნაკლი მშვენივრად მოეხსენებათ თვით კალათბურთელებსაც, მაგრამ მის გამოსასწორებლად მაინც მგონია, რომ ცოტა კეთდება. აქ თითოეული სპორტსმენის საკუთარი თამაშისადმი კონტროლს, ანალიზს ვგულისხმობ.

ზოგიერთი კალათბურთელი, ხანდახან რამდენიმე ერთად, უგულებელყოფს ხოლმე ელემენტარულ საკალათბურთო მოთხოვნებს. ის რომ, ტყორცნის მერე კალათიდან ასხლეტილი ბურთისთვის ბრძოლაა საჭირო, „დინამოს“ მოთამაშეებს რატომღაც ხშირად ავიწყდებათ. უშუალოდ მატჩის დროს ამ და ამისმაგვარი შენიშვნების კარნახი მწვრთნელთა სკამიდან ცოტა არ იყოს უხერხულია, უხერხულია თვითონ კალათბურთელებისათვის — ბოლოს და ბოლოს ისინი ხომ ამ თამაშის ოსტატებად იწოდებიან.

რა თქმა უნდა, ხდება, როცა ამა თუ იმ სპორტსმენს ამა და ამ ტექნიკური ილეთის შესასრულებლად ბუნებრივი მონაცემები არ უწყობს ხელს. სპორტში ასეთი რამ ძალზე ხშირია — იდეალური მონაცემების კალათბურთელები მსოფლიოშიც კი თითებზე ჩამოსათვლელნი არიან, მაგრამ სუსტი მხარეების გაძლიერება ნამდვილად შეიძლება და თითოეული სპორტსმენის, ამ შემთხვევაში კალათბურთელის ვალია დილიდან საღამომდე ხარვეზის გამოსწორება-შემცირებაზე იზრუნოს. ნაკლი მხოლოდ დროსა და მწვრთნელის იმედით არ გამოსწორდება. არადა, ჩვენს გუნდში საკუთარ თავზე მუშაობა, საკუთარი ნაკლის მოძიება და მისი გამოსწორება უკლებლივ ყველას ესაჭიროება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთ ადგილზე გავიყინებით — კარგა ხნით დავემკვიდრებით საშუალოს სახელსაც და ადგილსაც.

ახლა დავუბრუნდეთ იმ დასანან მარცხს. სულ სხვა ხასიათის იყო შეცდომა, რომელიც „უნივერსიტეტთან“ მოუვიდათ ტურის მასპინძლებს.

ასე იყო და ასეც იქნება ყოველთვის — გამარჯვება თავისთავად არ მოდის აღიარებულ აუტსაიდერთანაც კი. ტაშკენტელებთან შეხვედრის პირველი ტაიმის შემდეგ კი უთუოდ ასეთი განწყობით იყვნენ თბილისელი კალათბურთელები. ბუნებრივია, საამისო წინამძღვრებიც არსებობდა. 5-5 პერსონალური შენიშვნის გამო მოედანი დატოვეს აბელიანოვმა და ფილიუშკინმა. მოედანზე დარჩენილ ხუთეულს ფაქტიურად შეუცვლელად უნდა ეთამაშა მატჩის ბოლომდე, ორ მათგანს კი 4-4 პერსონალური შენიშვნა ჰქონდა მიღებული. ვფიქრობ, ასეთმა ვითარებამ მოადუნა თბილისელები, სტუმრებმა კი მართლა ვაჟკაცურად გაუძლეს უზომო დატვირთვას — მთელი მეორე ტაიმი ხუთეულმა შეუცვლელად ითამაშა და არა მარტო ითამაშა — მოიგო კიდეც მატჩი! მშვენიერი მაგალითიც არის და გაკვეთილიც.

არ მინდა ისე გამიგონ, თითქოს ამ სტრიქონების ავტორი უკმაყოფილო იყოს „დინამოს“ თამაშით და მხოლოდ ნაკლზეც იმიტომ ლაპარაკობდეს. პირიქით — ბოლო ხანებში გუნდში იგრძნობა საკმაოდ მაღალი ადგილის დაკავების პოტენცია და ჩვენი პრეტენზიებიც მხოლოდ და მხოლოდ ამით არის განპირობებული.

ი. ბერიაშვილი.

თბილისი. სპორტის სასახლე 30 ნოემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „უნივერსიტეტი“ (ტაშკენტი) 101:111 (52:52)

„დინამო“: კაპუსტინი (10), ბოროდაჩოვი (8), გურასპაული (4), ბიჭიაშვილი (10), დარსაძე (13), მარჩენკო (4), დერიუგინი (33), მილოვიდოვი (19).

„უნივერსიტეტი“: ბუზლიაკოვი (15), ნაზაროვი (17), შიშკოვი (14), აბელიანოვი (12), გავრილოვი (24), გრებენიკოვი (27), ფილიუშკინი (2).

მსაჯები: ვ. ლიმაევი (ბაქო) და მ. ბერნატსი (ლიეპაია).

* * *

თბილისი. სპორტის სასახლე. 1 დეკემბერი.

„დინამო“ (თბილისი) ასკ (კიევი) 121:111 (63:52).

„დინამო“: კაპუსტინი (18), ბოროდაჩოვი (28), გურასპაული (6), ბიჭიაშვილი (24), დარსაძე (2), მარჩენკო (5), დერიუგინი (33), მილოვიდოვი (5).

ასკ: კაჩურა (2), გობოროვი (12), შევჩენკო (4), ლუბანოვი (10), კორობკოვი (18), კრავჩენკო (39), ბონდარენკო (6), პოლოსინი (20).

მსაჯები: ბ. ცარიკოვი (გომელი) და ვ. სუურკასი (ტალინი).

* * *

სხვა მატჩები: „სტროიტელი“ — „უნივერსიტეტი“ 94:76 (42:40), ცსკა — „ჟალგირისი“ 94:79 (38:34).

დასკვნითი 2 ტურის წინ ფინალისტთა სატურნირო მდგომარეობა ასეთია: „ჟალგირისი“ — 8 ქულა, ცსკა — 7, „სტროიტელი“ — 6, „დინამო“ — 5, „უნივერსიტეტი“ — 3, ასკ — 1.





● ჭადრაკი

ლიდერთა შეხვედრა

სსრ კავშირის ქალთა 43-ე ჩემპიონატის X ტურში ყურადღების ცენტრში იყო ლიდერების ნ. გაფრინდაშვილისა და ნ. გურიელის შეხვედრა. უაღრესად დაძაბული თამაშის შემდეგ პარტია ყაიმით დამთავრდა.

ე. ახმილოვსკაიამ და ლ. მუჩნიკმა პარტიები გადადეს. პირველმა რ. ეიდელსონთან, მეორემ — ც. კახაბრიშვილთან. ტ. ფომინამ მოუგო მ. ლიტინსკაიას. დაზავდნენ თ. ხუგაშვილი — ლ. ზაიცევა და ტ. ზატულოვსკაია — ო. პედკო. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გთავაზობთ გადადებული პარტიების და წინა ტურების გამოტოვებული შეხვედრების შედეგებს: ზაიცევამ მოუგო ახმარუმოვას და დაუზავდა ფომინას, ერუსლანოვამ სძლია ოსტროის. ყაიმზე შეთანხმდნენ პედკო — ბაგინსკაიტე, ახმარუმოვა — ერუსლანოვა, ხუგაშვილი — ბაგინსკაიტე, ფომინა — რუჩიევა. კახაბრიშვილმა მოუგო ხუგაშვილს.

XI ტურში მხოლოდ ერთი პარტია დამთავრდა: გურიელმა დაამარცხა ფომინა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

11 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: ნ. გურიელი — 8 ქულა, ნ. გაფრინდაშვილი — 7 ქულა და ორი გადადებული პარტია, ლ. მუჩნიკი (ნიკოლაევი) — 6,5 (2), ე. ახმილოვსკაია — 6 (2).

მარათონული ტურნირი

ჯაკარტაში (ინდონეზია) გრძელდება დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 22 მოჭადრაკე მონაწილეობს.

14 ტურის შემდეგ ჰოლანდიელ ი. ტიმანს 11 ქულა აქვს, თუმცა მორიგი შეხვედრა რ. ჰენლისთან (აშშ) წააგო.

ლიდერს კვალში მიჰყვებიან მოსკოველი ა. იუსუპოვი (10 ქულა), ჰენლი და იუგოსლაველი ლ. ლიუბოევიჩი (9-9).

შეჯიბრების დამთავრებამდე 7 ტური დარჩა.

გუნდურში—მეორე

კრასნოიარსკში ახლახან გაიმართა 1962-65 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა საკავშირო პირველობა. შეჯიბრებაში ყველა მოკავშირე რესპუბლიკის (ესტონეთის გარდა), მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. დებულების თანახმად ამ ტურნირზე საქართველოდან 13 მოჭიდავე იყო დაშვებული, რსფსრ-სა და უკრაინის გუნდებში კი 21-21 სპორტსმენი გამოდიოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენმა ფალავნებმა წარმატებით იასპარეზეს და რსფსრ-ს ნაკრების შემდეგ II ადგილი დაიკავეს. III ადგილზეა უკრაინის გუნდი.

პირად ჩათვლაში ოქროს მედალი მოიპოვა გორელმა ფალავანმა კ. კურტანიძემ (95 კგ, მწვრთნელი გ. კურტანიძე), II ადგილზე გავიდნენ ე. გოგიჩაშვილი (78) და ჯ. მჭედლიშვილი (86), III — ა. კიბორძალიძე (+95). ამ უკანასკნელმა ტრავმის გამო აბსოლუტურ კატეგორიაში ვერ იასპარეზა და ამის გამო ჩათვლაში დაწინაურების შესაძლებლობა რსფსრ-ს ნაკრებს შეექმნა. კარგად იჭიდავეს საქართველოს ნაკრების სხვა წევრებმაც — გ. თენაძემ, ა. თენაძემ, კ. ილურიძემ, ა. ხაჩიძემ, ნ. დავითაშვილმა, ბ. მიქელთაძემ, გ. ჯანგილაშვილმა, გ. ბუჯიაშვილმა, გ. ბაგაურმა.

შეჯიბრებისთვის გუნდი მოამზადეს მწვრთნელებმა — ხ. წულაურმა, ვ. კბილაშვილმა, ფ. მარტყოფლიშვილმა და გ. რატიშვილმა.

სტიქიის მიუხედავად

სოჭი. შავიზღვისპირეთის აფროსანთა ტრადიციულმა რეგატამ არა მარტო შეაჯამა მიმდინარე წლის იახტსმენთა გამოსვლების შედეგები, არამედ იგი გახდა პირველი სტარტი მომავალი სეზონისთვის ქვეყნის ნაკრების კანდიდატებისათვის, — თქვა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ი. პილჩინმა. — მონაწილეთა ყოველმხრივი შემოწმებისათვის დიდი როლი შეასრულა ... ამინდმა. რბოლები მიმდინარეობდა როგორც ძლიერ ქარში, წყნარ ამინდში, ასევე ღელვის დროს.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, მოსკოველმა ვ. პოტაპოვმა ღელვისას ძლიერ დააზიანა თავისი კატამარანი და ბევრნი ფიქრობდნენ, რომ იგი ასპარეზობას გამოეთიშებოდა, მაგრამ ვიქტორმა დაამტკიცა, რომ იგი არა მარტო მაღალი კლასის მესაჭეა, არამედ ხელმარჯვე ოსტატიც. თავის მებაგირესთან სერგეი კუზოვთან ერთად იგი თითქმის მთელი ღამის განმავლობაში „აკერებდა“ იახტას. რბოლიდან რბოლამდე უმჯობესდებოდა შედეგი და ამ ეკიპაჟმა თავის კლასში საერთო გამარჯვებას მიაღწია.

ოლიმპიადა-80-ის პრიზიორმა მოსკოველმა ბორის ბუდნიკოვმა ყველა რბოლა „სოლინგის“ კლასში ახალგაზრდა მეტოქეებთან მწვავე ბრძოლაში განვლო. პირველობის ბედი გადაწყდა ბოლო რბოლაში, რომელიც გამოცდილმა მესაჭემ ძალზე ლამაზად მოიგო.

„ვინგლიაიდერის“ კლასში გაიმარჯვა ახალგაზრდა ტალინელმა სპორტსმენმა მატი მიკმა, „მფრინავ ჰოლანდიელში“ მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორმა, მოსკოველმა ს. ბოროდინოვმა ტექნიკური შეცდომა დაუშვა. მთელი ყურადღება მან ტალინელ მ. ჟურბასთან ბრძოლაზე გადაიტანა. ამით ისარგებლა მინსკელმა ა. შპილკომ და გაიმარჯვა კიდეც. „470-“ებში გაიმარჯვა მ. კუდრიავცევმა (მოსკოვის ოლქიდან), „ფინის“ კლასში კი — სოჭელმა ო. ხოპერსკიმ.

(საკდესი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, ქ. თბილისის განათლების სამმართველოს სატანვარჯიშო სკოლა, ტანვარჯიშის რესპუბლიკური ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებენ საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს, სპორტის ოსტატს, განათლების წარჩინებულს, შრომის ვეტერანს გრიგოლ მიხეილის ძე მამარდაშვილს მეუღლის, კომპოზიტორ ლილი მიხეილის ასულ იაშვილის გარდაცვალების გამო.

● ფეხბურთი

ევროპის ჩემპიონატი

V ჯგუფი

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ამ შესარჩევ ჯგუფში საინტერესო სიტუაცია შეიქმნა: სატურნირო ცხრილს ლიდერობდნენ შვეციის ფეხბურთელები, მაგრამ როგორი შედეგითაც არ უნდა დამთავრებულიყო ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის გუნდების 30 ნოემბრის შეხვედრა, ერთ-ერთი მათგანი უსწრებდა შვეციის ნაკრებს.

ეს მატჩი გაიმართა ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრატისლავაში. ჩეხოსლოვაკიელები გამარჯვების შემთხვევაში გადიოდნენ ევროპის ჩემპიონატის ფინალში, რუმინელებს კი ამავე მიზნის მისაღწევად ფრეც ჰყოფნიდათ. მატჩის პირველი ნახევარი უშედეგოდ დამთავრდა —0:0, შესვენების შემდეგ 62-ე წუთზე, პირველი ბურთი გაიტანეს რუმინელებმა (გეოლგაუ), ხოლო 85-ე წუთზე ხალუპკამ აღადგინა თანაფარდობა — 1:1.

ამრიგად, ევროპის 1984 წლის ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ რუმინელი ფეხბურთელები.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
რუმინეთი	8	5	2	1	9—3	12
შვეცია	8	5	1	2	14—5	11
ჩეხოსლოვაკია	8	3	4	1	15—7	10
იტალია	7	0	3	4	3—11	3
კვიპროსი	7	0	2	5	3—18	2

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის. 29. ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
უე — 07952